



# სამოქალაქო განათლების ტესტი

06 სტრუქტი

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



## ინსტრუქცია

### დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა ეწოდება სოციალურ ჯგუფში არსებულ ქცევის წესებს, რომლებსაც ჯგუფის წევრები იცავენ?

- ა. სტიგმა
- ბ. ნორმა
- გ. სტერეოტიპი
- დ. ღირებულება

2. რა ეწოდება ადამიანების შედარებით დიდ ჯგუფს, რომელიც გარკვეულ სივრცეში სპონტანურად, ხშირად მოკლე დროით, იქმნება და მონაწილეთა მსგავსი ემოციურ-ფსიქოლოგიური განწყობა ახასიათებს?
- ა. ბრბო
  - ბ. გუნდი
  - გ. საზოგადოება
  - დ. პროფესიონალი

**3. სქესისა და გენდერის ცნებების შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?**

- ა. სქესი აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ როლს ოჯახურ საქმიანობაში, ხოლო გენდერი -  
მათ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში
- ბ. გენდერის ცნებაში მოიაზრება კონკრეტულ დროსა და სივრცეში ქალისა და კაცის განსხვავებული  
სოციალური ფუნქციები, ხოლო სქესის ცნებაში - მათ შორის ბიოლოგიური განსხვავება
- გ. სქესი აღნიშნავს სოციო-კულტურულ სივრცეში ქალისა და კაცის განსხვავებულ როლებს, ხოლო  
გენდერი მათ ბიოლოგიურ იდენტობაზე მიუთითებს
- დ. გენდერის ცნებაში ყოველგვარი განსხვავება მოხსნილია ქალსა და კაცს შორის, ხოლო სქესით,  
პირიქით, მათი განსხვავებულობა აღინიშნება

4. როგორია სახელმწიფო, რომელიც დაყოფილია მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფოებრივ ერთეულებად?

- ა. უნიტარული
- ბ. პროპორციული
- გ. ფედერაციული
- დ. კოალიციური

5. რა ეწოდება ეკონომიკური საქმიანობისას კაპიტალის დაბანდებას, წარმოების გაუმჯობესებისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით?
- ა. მოგება
  - ბ. ინვესტიცია
  - გ. სუბსიდია
  - დ. გადასახადი

6. სქემა ასახავს საშემოსავლო გადასახადის სახეებს. ჩამონათვალიდან რომელი შეესაბამება სქემის ცარიელ გრაფას?



- a. რეგრესიული გადასახადი
- b. მოგების გადასახადი
- c. საპენსიო გადასახადი
- d. დამატებითი ღირებულების გადასახადი

7. თავისუფალი კონკურენციის პირობებში, რა იქნება ბაზარზე რომელიმე კონკრეტული პროდუქტის რაოდენობის გაზრდის შედეგი?
- ა. ამ პროდუქტის ხარისხის გაზრდა
  - ბ. სხვა პროდუქტის ხარისხის ვარდნა
  - გ. ამ პროდუქტის ფასის ვარდნა
  - დ. ამ პროდუქტის ფასის გაზრდა

8. რა ეწოდება მსჯავრდებულის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას?

ა. რეანიმაცია

ბ. რეკრეაცია

გ. რეალიზაცია

დ. რესოციალიზაცია

9. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე დაკარგავს მოქალაქეობას, თუ ის:

- ა. დაქორწინდება სხვა ქვეყნის მოქალაქეზე
- ბ. აწარმოებს ბიზნესს უცხო ქვეყანაში
- გ. ნებართვის გარეშე შევა უცხო ქვეყნის სამხედრო სამსახურში
- დ. სისტემატურად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას

**10. სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?**

- ა. სახელმწიფოს მართვა პოლიტიკოსების საქმეა და რიგითი მოქალაქეები ამ პროცესში არ მონაწილეობენ
- ბ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობითაა შესაძლებელი
- გ. ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ამა თუ იმ პარტიაში გაწევრიანება
- დ. პრობლემის განხილვის პროცესში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ჩართვა მმართველთა გადაწყვეტილებას უფრო მეტ ლეგიტიმაციას სძენს

**11. კონსტიტუციის შესახებ მსჯელობებიდან რომელი არ არის მართებული?**

- ა. კონსტიტუციას უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია
- ბ. კონსტიტუცია მიიღება ხალხის სახელით, იგი აღიარებულია ხალხის მიერ
- გ. კონსტიტუციის შეცვლა შესაძლებელია პარლამენტართა ხმათა უმრავლესობით
- დ. პარლამენტში კონსტიტუციის ცვლილების პროექტის შეტანისათვის საჭიროა არანაკლებ 200 000 ამომრჩეველის ხელმოწერა

**12.** რა ეწოდება იმ სარგებელს, მოგებას ან ღირებულებას, რაც უნდა დავთმოთ სხვა რამის შეძენის ან მიღების სანაცვლოდ?

- ა. თვითღირებულება
- ბ. საბაზრო ღირებულება
- გ. აბსოლუტური ღირებულება
- დ. ალტერნატიული ღირებულება

13. რომელი სტრუქტურული ერთეული არ მოქმედებს სახალხო დაცველის ოფისში?

- ა. ტოლერანტობის ცენტრი
- ბ. საჯარო მოხელეთა დაცვის ცენტრი
- გ. ბავშვისა და ქალთა უფლებების ცენტრი
- დ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი

14. სოციალური სამართლიანობა, ეკო-სისტემის დაცვა და ეკონომიკური რესურსების გონივრული გამოყენება ის კომპონენტებია, რომელთა ჰარმონიულ ურთიერთკავშირსაც ეყრდნობა ეგრეთ წოდებული \_\_\_\_\_ განვითარების კონცეფცია.

- ა. მდგრადი
- ბ. სამოქალაქო
- გ. გლობალური
- დ. სტრატეგიული

15. სტრატეგიული დაგეგმვა სიტუაციის ანალიზით იწყება, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა \_\_\_\_\_ ანალიზი, ხოლო მეორე - საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება.

- ა. სტრატეგიული ჩარჩოს
- ბ. უნიკალური რესურსების
- გ. ინდიკატორების
- დ. გარემოს

16. რა მოვლენაა წარმოდგენილი მოცემულ ილუსტრაციაზე?



- ა. ტრეფიკინგი
- ბ. უკანონო პატიმრობა
- გ. გადაადგილების თავისუფლება
- დ. ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება

**17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:**

საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს ინფორმაციას სათაურით „დაკავებულია დამნაშავეთა ჯგუფი“. სტატიაში ავტორი აღწერს იმ დღეს მომხდარ ერთ-ერთი მიკრო-საფინანსო კომპანიის ძარცვის დეტალებს და ასახელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული საგამოძიებო სამსახურის მიერ დაკავებული პირების სახელებსა და გვარებს. წინასწარი პატიმრობის იზოლატორში გადაყვანილი ერთ-ერთი პირის ადვოკატი ავრცელებს განცხადებას საინფორმაციო სააგენტოს მიერ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ფუნდამენტური უფლების დარღვევის შესახებ.

**დაკავებული პირის რომელი უფლება იქნა დარღვეული აღწერილი სიტუაციის მიხედვით?**

- ა. ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმეცია
- ბ. ბრალდებულის დუმილის უფლება
- გ. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება
- დ. სამართლიანი სასამართლოს უფლება

**18. დიაგრამაზე მოცემულია საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი) 2000-2014 წლებში:**



## რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა. 2010-2014 წლებში საქართველოში ნომინალური ხელფასის ზრდის მიუხედავად, ქალების ნომინალური ხელფასი არ გაზრდილა
- ბ. 2010-2014 წლებში ქალების ნომინალური ხელფასი ყოველთვის უფრო დაბალი იყო, ვიდრე ნომინალური ხელფასი საქართველოში
- გ. 2010-2014 წლებში საქართველოში ნომინალური ხელფასის ზრდას მხოლოდ ქალების ნომინალური ხელფასის ზრდა განაპირობებდა
- დ. 2010-2014 წლებში იზრდებოდა კაცების ნომინალური ხელფასი, ხოლო ქალების ნომინალური ხელფასი მცირდებოდა

**19.** თქვენ წინაშეა 2015 წელს მედიის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის „ახალგაზრდობის დამოკიდებულება ევროინტეგრაციის პროცესისადმი“ ზოგიერთი მონაცემი:

- საქართველოს ახალგაზრდებში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია „ფეისბუქი“, რომლითაც ინტერნეტის მომხმარებელ ახალგაზრდათა 88.9% სარგებლობს, „ოდნოკლასნიკებით“ სარგებლობს 31.3%, სხვა სოციალური ქსელებით კი 21.9%.
- „ფეისბუქით“ სარგებლობს ინტერნეტის მომხმარებელ ახალგაზრდათა 91,5% თბილისში და 90,8% სხვა ქალაქებში. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები „ფეისბუქით“ ნაკლებად სარგებლობენ (74,5%).
- „ოდნოკლასნიკებით“ სარგებლობს თბილისში მცხოვრებ, ინტერნეტის მომხმარებელ ახალგაზრდათა 25%, სხვა ქალაქების მცხოვრებ ახალგაზრდათა 33,9%, და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა 49,7%.

## მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

- ა. ახალგაზრდების 88,9% მხოლოდ „ფეისბუქით“ სარგებლობს
- ბ. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში „ოდნოკლასნიკები“ ნაკლებად პოპულარულია ვიდრე თბილისში
- გ. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში ახალგაზრდები „ფეისბუქთან“ შედარებით „ოდნოკლასნიკებს“ ანიჭებენ უპირატესობას
- დ. „ფეისბუქს“ „ოდნოკლასნიკებთან“ შედარებით უპირატესობა აქვს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. თუმცა, „ოდნოკლასნიკებს“ რეგიონებში, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, მაინც მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია.

## **20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს სტატიიდან და უპასუხეთ შეკითხვას:**

ევროპარლამენტის რეზოლუციის თანახმად, გაზსადენი „სამხრეთის ნაკადი“ (რუსეთიდან პირდაპირ ევროკავშირში) არ უნდა აშენდეს. ევროპელებმა პრიორიტეტულად რუსული პროექტის კონკურენტები - „ნაბუკო ვესტი“ (გაზსადენი რომლითაც გაზი ევროპას თურქეთიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან საქართველოს და თურქეთის გავლით მიეწოდება) და ტრანსადრიატიკული მილსადენები დაასახელეს.

„ნაბუკო“ ევროკავშირისთვის „სამხრეთის ნაკადზე“ უფრო სასურველია, რადგან ის უფრო იაფია და, შესაბამისად, მისი აშენება უფრო სწრაფად შეიძლება. ასევე, ეს გაზსადენი შეამცირებს ევროკავშირის ენერგოდამოვიდებულებას რუსეთზე, რაც ამჟამად ევროპისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„ნაბუკოს“ უარყოფით მხარედ შეიძლება იყოს მიჩნეული ის, რომ ამ პროექტში მონაწილეობს რამდენიმე მიმწოდებელი და სატრანზიტო ქვეყანა, რის გამოც ახლა ევროპელებს მოუწევთ არა ერთ, არამედ რამდენიმე ქვეყანასთან საერთო ინტერესების გამოძებნა.

## ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა. „სამხრეთის ნაკადის“ უარყოფითი მხარე პროექტში მონაწილე ქვეყნების სიმცირეში მდგომარეობს
- ბ. „ნაბუკოს“ გაზსადენი შეამცირებს ევროპელების დამოკიდებულებას რუსეთის ენერგო მატარებლებზე
- გ. „ნაბუკოს“ გაზსადენით ევროპელები უფრო მეტ გაზს მიიღებენ
- დ. „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა ეკონომიკურად უფრო მომგებიანია, რადგან მხოლოდ რუსეთზე გაივლის

## 21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვას:

„დიალ, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ ხელთ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰქონის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში — არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის. მე თუ თითონ არა ვარ ჩემის ქვეყნისათვის, ჩემის თავისათვისაო, სხვა უფრო არ იქნებაო, — ამ აზრმა თავი იჩინა საყოველთაო დასანახავად უფრო წარსულ წელს, ვიდრე სხვა დროს როდისმე.“

ილია ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1892 წელი


## ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა. ადამიანს თუ რწმენა გააჩნია, ის ძალიან ბევრ რამეს მიაღწევს ცხოვრებაში
- ბ. ადამიანის წარმატების საწინდარი მისი საკუთარი შრომაა
- გ. მხოლოდ მოქალაქეთა ერთიანობით მიიღწევა საერთო წარმატება
- დ. ადამიანი ვერ მიაღწევს ბედნიერებას, თუკი მისი თანამოქალაქეები არ იქნებიან წარმატებულნი

## ინსტრუქცია

### რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია რუკა, რომელიც ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში კორუფციის გავრცელების დონეს (2015 წ.). მას ახლავს სამი კითხვა არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.



**22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, კორუფციის დონე:**

- ა. კანადაში უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ი
- ბ. რუსეთში უფრო დაბალია, ვიდრე ბრაზილიაში
- გ. უკრაინაში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში
- დ. ავსტრალიაში უფრო მაღალია, ვიდრე ჩინეთში

**23.** რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ ჩამონათვალშია დალაგებული ქვეყნები კორუფციის დონის ზრდის მიხედვით?

- ა. ბრაზილია, ინდოეთი, კანადა
- ბ. ავსტრალია, თურქეთი, ალჟირი
- გ. რუსეთი, აშშ, ჩინეთი
- დ. უკრაინა, ესპანეთი, იტალია

**24. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?**

- ა. ევროპაში კორუფციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე აზიაში
- ბ. ლათინური ამერიკის ქვეყნებში კორუფციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში
- გ. კორუფციის დონე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში უფრო დაბალია, ვიდრე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში
- დ. სკანდინავიის ქვეყნებში კორუფციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

## ინსტრუქცია

### შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

**25. დაამყარეთ შესაბამისობა არჩევნების ძირითად პრინციპებსა და მათ განმარტებებს შორის:**

<b>I. არჩევნების ძირითადი პრინციპების დეფინიცია</b>	<b>II. არჩევნების ძირითადი პრინციპები</b>
a. ხმის უფლება უნდა ჰქონდეს შესაბამისი ასაკის მქონე მოქალაქეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ რეგისტრაციის პირობებს. არჩევნების ჩასატარებლად არ ხდება რომელიმე კონკრეტული სოციუმის გამოყოფა.	1. ფარული
b. მოქალაქეები ხმას აძლევენ უშუალოდ კანდიდატებს. მოქალაქის უშუალო უფლებაა, ხმა მისცეს მისთვის სასურველ კანდიდატს ან იყოს არჩეული საარჩევნო ორგანოში ან არჩევით თანამდებობაზე.	2. პირდაპირი
გ. ყველა ხმას ჰქონდეს თანაბარი ძალა, რაიმე სახის უპირატესობისა და შეზღუდვის გარეშე.	3. საყოველთაო
დ. მოქალაქის ნება-სურვილი დაცულია და ხელშეუხებელი. დაუშვებელია ხმის მიცემის პროცესის კონტროლი და ან სხვა პირის დასწრება.	4. თანასწორი  5. ანგარიშვალდებული

## ინსტრუქცია

### შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

**დავალება N26.** ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

### სასამართლო სისტემა

იმისათვის, რომ სახელმწიფო ძალაუფლება ერთი პიროვნების თუ გუნდის მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად ბოროტად არ იქნას გამოყენებული, ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა ამ ძალაუფლების განაწილების მექანიზმი. ეს მექანიზმი გულისხმობს სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციას, ანუ მის გადანაწილებას ხელისუფლების შტოებზე. ესენია: აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო შტოები. ეს შტოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები არიან, თუმცა ეს მათ აბსოლუტურ გამიჯვნას არ ნიშნავს. მაგალითად, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი შეიძლება გაუქმებულ იქნას იუსტიციის სამინისტროს მიერ. ამგვარად, ეს შტოები ერთმანეთს აბალანსებენ, რაც სახელმწიფოს უფრო ეფექტურ მუშაობას უზრუნველყოფს.

კანონის თანახმად, საერთო სასამართლოების მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) საქართველოს მოქალაქე, რომელსაც უკვე შეუსრულდა 21 წელი. მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი ეკონომიკური განათლება. თავის მხრივ, მოსამართლეს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პროკურატურა. თავად მოსამართლე, რომელსაც უშუალოდ გამოაქვს განაჩენი, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და სხვა

კანონების შესაბამისად. საერთო სასამართლოებში ყველა საქმე, გამონაკლისების გარდა განიხილება დახურულ სხდომაზე.

პროცედურულად სასამართლო შემდეგნაირად მიმდინარეობს: მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავს მოსარჩელისა და მისი მოპასუხის არგუმენტებს, გამოაქვს სასამართლო გადაწყვეტილება: სარჩელი ან განჩინება. თუმცა, დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მხარეებს მისი უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვთ. ამგვარად, უფრო დიდია სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისა და მხარეთა დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

სასამართლო ხელისუფლებაში მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობისათვის შემუშავებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. მოქმედი კანონმდებლობით ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებს. ნაფიცი მსაჯულების შერჩევისას სპეციალური კრიტერიუმები უნდა იქნას გათვალისწინებული. მაგალითად, ნაფიცი მსაჯული თავად უნდა იყოს ამომრჩეველი, საუბრობდეს პროცესის ენაზე და სხვა. გარდა ამისა ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება იურისტი, პოლიციელი, ბრალდებული ან სასულიერო პირი.

საერთო სასამართლოებისაგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს კანონისა თუ სხვა ტიპის ნორმატიული ფაქტების შესაბამისობას ქვეყნის კონსტიტუციასთან. ის ასევე იხილავს, თუ რამდენად კონსტიტუციურია მორატორიუმი, რომელიც მოქალაქეთა ნების გამოხატულებად და პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მიიჩნევა.

## ინსტრუქცია

### სასკოლო პროექტი (N27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს.

დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

## **დავალება N 27 პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:**

2018 წელს საქართველოში აღინიშნება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნების 100 წლისთავი. თქვენი სკოლის თემი ნაკლებად იცნობს 1918-1921 წლების რესპუბლიკის ისტორიას და არ აქვს გააზრებული მისი მნიშვნელობა ქართული სახელმწიფო ბრიობისათვის.

### **პროექტის მიზანი:**

პროექტის მიზანია სასკოლო თემში საქართველოს სუვერენიტეტის მნიშვნელობის გააზრებისა და შესაბამისი განწყობა-დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

### **ამოცანები (დაწერეთ კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)**

I ამოცანა:

II ამოცანა:

**განხორციელების გზები (დაწერეთ კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)**

I ამოცანის განხორციელების გზა:

II ამოცანის განხორციელების გზა:

## ინსტრუქცია

### ილუსტრაციის ანალიზი (N28)

გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

## დავალება N 28.



**28.1** ვის განასახიერებს  
სავარძელში მჯდომი კაცი?

**28.2** რა არის ილუსტრაციის  
მთავარი სათქმელი?

**28.3** იმსჯელეთ, რა შედეგი  
შეიძლება მოჰყვეს  
ილუსტრაციაზე ასახულ  
მოვლენას და როგორ  
შეიძლება ამ შედეგის  
თავიდან აცილება?

## ინსტრუქცია

### არგუმენტირებული მსჯელობა (N29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

## დავალება N 29

საპარლამენტო არჩევნები გარკვეული პერიოდულობით ტარდება. როგორც წესი, ეს პერიოდი ოთხი ან ხუთი წლით განისაზღვრება. ამომრჩეველი ამ ვადით ირჩევს პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც გადასცემს ქვეყნის მართვის ლეგიტიმურ უფლებას, რათა მან მოაგვაროს საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემები.

- 29.1** დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, რატომ არ არის საარჩევნო პერიოდი უფრო ხანგრძლივი.
- 29.2** დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, რატომ არ არის საარჩევნო პერიოდი უფრო ხანმოკლე.

## ინსტრუქცია

### წყაროს ანალიზი (N30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომელსაც ახლავს, როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ასევე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

## დავალება N 30

### წყარო N1

„გუშინდელი ჩვენი საზოგადო თუ სამოქალაქო დაწყობილება დღეს ისე იცვლება, ხვალ ისე. გავა რამდენიმე ხანი, ჩვენთვის მოკლე თუ გრძელი, მაგრამ ქვეყნიერების არსებობისათვის წუთზედაც უზომოდ უმცრესი და რაც გუშინ, შარშან, იმ საუკუნეში მკვიდრი რამ დაწყობილება გვეგულებოდა, დღეს იქნება კვალიც აღარსადა ჰჩანდეს იმისი.

ასე, გუშინდელი, შარშანდელი ან ცოტა კიდევ იმის უწინარესი ჩვენი დამოძღვრება, ჩვენი დამრიგებლობა და სწავლება უკან ჩამოგვრჩენ და ჩვენ რომ შეუფერხებლად წინ მივალთ, რაღას მოგვეწევიან.

იმათ ფეხში სხვა რიგი არის ახლა ჩამდგარი, სხვა წესი, სხვა ძალა. ეს მიგვიძლვის ახლა წინა, ამას მივდევთ და ასე მიმავალნი თითქო ჩვენც უფრო თვალ-ახილვით ვმოძრაობთ, ჩვენს საკუთარს პირადს მსოფლიოობასა ვჰგრძნობთ, უფრო გულდასმით და ყურისგდებით გარშემო ვიყურებით და საზოგადო მომრაობას მივდევთ.

რა არის ახლა, ან ვინ არის ამ ახლანდელს ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამმოძღვრებელი, ჩვენი მეგობარი და ჩვენი მეინახე?


ეს არის სტამბა! ეს არის ბეჭდვა! უჟურნალოთ, უგაზეთოთ რიღას მაქნისი ვართ ახლა?“

დიმიტრი ყიფიანი, „დროების“ 10 წლისთავის გამო, 1876 წელი

## წყარო N2

ვისაც შეუძლია საზოგადოებრივი აზრის შეცვლა, პრაქტიკულად მთავრობის შეცვლაც შეუძლია. აბრაამ ლინკოლნი, 1809-1865

## წყარო N3



## წყარო N4



წყაროებზე გადასვლა: [N1](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#); [30.2](#) [30.3-30.7](#)

**30.1** როგორ ფიქრობთ, ჩამოთვლილთაგან რომელი ცნება შეესაბამება ყველაზე მეტად დიმიტრი  
ყიფიანის პიროვნებას (წყარო N1):

ა. კონსერვატორი

ბ. რეტროგრადი

გ. პროგრესისტი

დ. ლიბერალი

### **30.2 რომელი მოსაზრება შეესაბამება დიმიტრი ყიფიანის წერილში გამოთქმულ აზრს (წყარო N1)?**

- ა. მიუხედავად ცვლილებისა ადამიანმა უნდა მოახერხოს საკუთარი ტრადიციებისა და ადათ წესების შენარჩუნება
- ბ. ნებისმიერ დროს თავისი სიკეთეები მოაქვს და მხოლოდ მათი სინთეზით არის წინსვლა შესაძლებელი
- გ. ის, რაც წარსულია, დავიწყებას უნდა მიეცეს, რათა შესაძლებელი გახდეს სიახლეების დანერგვა და ახალი საგაზეთო სტატიების წერა
- დ. ნებისმიერ დროებას განვითარების საკუთარი რიტმი აქვს და თანამედროვეობის ლოკომოტივი ჟურნალ-გაზეთებია

წყაროებზე გადასვლა: [N1](#) [N2](#) [N3](#) [N4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1;](#) [30.3-30.7](#)

- 30.3** რა დადებითი მახასიათებლების გამო შეიძლება მედია პროგრესის კატალიზატორად მივიჩნიოთ? დაასახელეთ ორი დადებითი მახასიათებელი.
- 30.4** იმსჯელეთ, როგორ უკავშირდება ერთმანეთს და რა ერთიან საზრისს ქმნის N3 და N4 წყაროები?
- 30.5** როგორ შეიძლება მოქალაქემ დაიცვას თავი N3 და N4 წყაროებში აღწერილი პრობლემისაგან?
- 30.6** იმსჯელეთ, რამდენად მართებულია N2 წყაროში გამოთქმული მოსაზრება. მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც თქვენს მსჯელობას გაამყარებს.
- 30.7** რამდენად აქტუალურია წყაროებში მოცემული პრობლემა საქართველოსათვის? პასუხი დაასაბუთეთ.